საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

N 576-02
28/03/2016

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 31-ე, 32-ე მუხლების და 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 25 იანვრის N14 და 2016 წლის 28 მარტის №16 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2016 წლის 28 მარტს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი და **ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ იქნას **ნიკოლოზ ყაველაშვილი.**

2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა **ნიკოლოზ ყაველაშვილისთვის** და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცვა-ანგარიშის დეპარტამენტი, საფინანსო დეპარტამენტი, ბიზნესის სკოლა.

3.უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

გიგა ზედანია

რექტორი